ფრე ბაქოში

ბაქო. ვ. ი. ლენინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონი. 20 ოქტომბერი.

”ნეფთჩი” (ბაქო) – ”დინამო” (თბილისი) 0:0.

”ნეფთჩი”: რასულოვი, ღარიბოვი აბდულაევი, უზბეკოვი, ხუდიევი, იბრაიმოვი, შიხლაროვი (სადახოვი), ნურმამედოვი, ალიევი (ალაჰვერდიევი), ყურბანოვი, ახმედოვი.

”დინამო”: მჭედლიძე, პაიკიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, ანდღულაძე, სვანაძე, სულაქველიძე, ჯოხაძე, ცავა, შენგელია.

მსაჯი: ა. მუშკოვეცი (მოსკოვი).

დუბლიორები 1:0.

გააფრთხილეს ყურბანოვი.

ბაქოელი ფეხბურთელები ბოლო 5 წელია მედგარ წინააღმდეგობას უწევენ თბილისის ”დინამოს”. ეს ორი გუნდი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება საერთო კლასით, საკავშირო ჩემპიონატებში დაკავებული ადგილებით, მაგრამ თუ ავიღებთ უკანასკნელ 10 შეხვედრას, მდგომარეობა თანაბარია: 3-3 გამარჯვება და 4 ფრე. წლეულს პირველ წრეში კი თბილისელებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 5:3.

”ნეფთჩიმ” გუშინდელ მატჩშიც თავგამოდებით იბრძოლა თავის მინდორზე, თუმცა მატჩის დასაწყისში საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა დინამოელებს ეპყრათ. ისინი სახიფათოდ უტევდნენ. მომენტებიც საკმაოდ ჰქონდათ (შენგელია, ჩივაძე, ჯოხაძე). შემდგომში რამდენიმე სწრაფი კონტრშეტევა მასპინძლებმაც განახორციელეს - მცირე მანძილით აცდა მჭედლიძის კარს ახმედოვის, ალიევის მიერ დარტყმული ბურთები.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში ბაქოელებმა ძლიერი იერიშები განავითარეს, დინამოელები ძალების სრული დაძაბვით იცავდნენ კარს და მხოლოდ 20-25 წუთის შემდეგ გათანაბრდა თამაში, თუმცა მწვავე მომენტებიც საკმაოდ იქმნებოდა ორივე კართან.

საბოლოოდ, ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია წარმატებას, მატჩი დამთავრდა ფრედ - 0:0.

თბილისელებმა მხოლოდ ქულა აიღეს გუშინდელ მატჩში, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, ის, რომ დინამოელებს ჯერ კიდევ არა ჰყავთ მწყობრში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე. ამას გარდა, ”ნეფთჩი” ახლანდელი სატურნირო მდგომარეობის გამო იძულებულია ითამაშოს გაორკეცებული ენერგიით. გუნდიც ყოველ ღონეს ხმარობს მოიპოვოს საჭირო ქულა, განსაკუთრებით, საკუთარ მინდორზე.

”ლელო”, 21 ოქტომბერი, 1982 წ.